სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080179016262615

1387

08 / დეკემბერი / 2015 წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) 2015 წლის 2 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს SMP150000732 მომართვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

მომართვის მიხედვით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო „C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, რევოლუციური პრეპარატის - „ჰარვონის“ შემოტანასთან დაკავშირებით მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, გეგმავს სარეკლამო ვიდეო რგოლის დამზადებასა და მისი სატელევიზიო ეთერში განთავსებას.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, გილიად საიენს აიერლანდ უს-სას („გილიადი“) დახმარებითა და ხელშეწყობით დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს „C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამა“, რომლითაც უკვე ისარგებლა C ჰეპატიტით დაავადებულმა 5000-ზე მეტმა პირმა. ხსენებული პროგრამის ფარგლებში, 2016 წლის იანვრიდან იგეგმება მეორე ეტაპზე გადასვლა, კერძოდ, პრეპარატის „ჰარვონის“ შემოტანა და ამის თაობაზე მოსახლეობის ფართო მასების ინფორმირება.

ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მეორე ეტაპზე გადასვლისა და პრეპარატის შემოტანის ვადები დამოკიდებული იყო პროგრამაში პირველ ეტაპზე ჩართული პაციენტების რაოდენობაზე. ამდენად, წინასწარ შეუძლებელი იყო იმის გათვლა, თუ როდის დადგებოდა მეორე ეტაპზე გადასვლის საჭიროება. თავდაპირველი პროგნოზით, მეორე ეტაპზე გადასვლა ნავარაუდევი იყო 2016 წლის თებერვალ-მარტში. აღნიშნული გარემოების გამო, 2015 წელს შესყიდვა არ დაიგეგმა.

საგულისხმოა, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სისტემის SMP მოდულში მოსაზრება გამოთქვა შპს „საბმშენმა“. მისი განმარტებით, აღნიშნული პრეპარატი საქართველოში შემოტანილი იქნა 2015 წლის ზაფხულის პერიოდში და ყურადღებაა მისაქცევი იმ ფაქტზე, თუ აქამდე რატომ არ მოხდა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მომართვაში მითითებული შესყიდვების განხორციელების მიზნით ტენდერის გამოცხადება.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

როგორც წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გეგმავს სარეკლამო ვიდეო რგოლის დამზადებასა და მისი სატელევიზიო ეთერში განთავსებას, რათა მოხდეს ყველას ინფორმირება რევოლუციური პრეპარატის - „ჰარვონის“ შემოტანასთან დაკავშირებით. აღნიშნული ღონისძიება ხორციელდება „C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, პროექტის მეორე ეტაპზე გადასვლისა და პრეპარატის შემოტანის ვადები დამოკიდებული იყო პროგრამაში პირველ ეტაპზე ჩართული პაციენტების რაოდენობაზე. ამასთან, ხელშეკრულებას მედიკამენტის მოწოდების შესახებ კომპანია გილიადსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის, ხელი მოეწერა 2015 წლის ნოემბრის თვეში. შესაბამისად იმის განსაზღვრა, თუ როდის დადგებოდა შესყიდვის აუცილებლობა, წინასწარ შეუძლებელი იყო.

მომართვიდან ასევე ირკვევა, რომ ზემოხსენებული შესყიდვის ობიექტების შესასყიდად ელექტრონული ტენდერის ჩატარება, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად, მოითხოვს გახანგრძლივებული ვადების დაცვას, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს ღონისძიების შეფერხება, რადგან შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ვიდეო რგოლის სატელევიზიო ეთერში გაშვება დაგეგმილია არაუგვიანეს 2015 წლის 14-15 დეკემბრიდან.

იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცედურების შეფერხება, აუცილებელია, აღნიშნული ღონისძიება განხორციელდეს მაქსიმალურად შეზღუდულ ვადებში. შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარებით შესყიდვის განხორციელების საჭიროება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს SMP150000732 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების დასადგენად მიმართოს საქართველოს მთავრობას.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ზაზა ნანობაშვილი